დადგენილება №6/2020 სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით, საშემსრულებლო (2 წევრი) და კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტებიდან (2 წევრი) წარმომადგენლობით საბჭოში სტუდენტთა შესავსებად არჩევნების გამოცხადების შესახებ.

დადგენილება №6/2020

06 თებერვალი, 2020

დადგენილება №6/2020 სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით, საშემსრულებლო (2 წევრი) და კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტებიდან (2 წევრი) წარმომადგენლობით საბჭოში სტუდენტთა შესავსებად არჩევნების გამოცხადების შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 06 თებერვლის N02 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს არჩევნები სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით, საშემსრულებლო (2 წევრი) და კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტებიდან (2 წევრი) წარმომადგენლობით საბჭოში სტუდენტთა შესავსებად.
2. კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატი - სტუდენტი, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
   ა) იყოს შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტი;
   ბ) ფლობდეს ქართული ენას;
   გ) ინგლისური ენის ცოდნა (სასურველია);
   დ)კომპიუტერული პროგრამების, ინტერნეტისა და ელ.ფოსტის აპლიკაციების ცოდნა.
3. კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატმა საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
   ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ)ავტობიოგრაფია (CV);

გ) ცნობა - სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ;

დ) ცნობა - სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ;

ე) 1 ფოტოსურათი (ზომა: 3x4 სმ).

4. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე **www.tsc.edu.ge**

5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

6. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე